I. № 13

№ 91
მაისის 1, ოთხშაბათი 1902 წ.

1877

ივერია

1902

№ 91
მაისის 1, ოთხშაბათი 1902 წ.

მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია"

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія". ტელეფონი № 227.

ტფილისის სამარხი კასა

ვსთხოვთ ყველა დამფუძნებელ წევრთ „**ტფილისის სამარხ კასისას**", (რომელთაც წესდებაზედ ხელი უწერიათ) **მობრძანდნენ ქართულ თეატრის დარბაზში კვირას, ხუთ მაისს, დილის 10 საათზედ**, საცა დანიშნულია **საზოგადო კრება გამგეობისა** და **სარევიზიო** კომისიის წევრთა და მათ **ნაცვალთა ამოსარჩევლად** და აგრეთვე **კასის მოქმედების დაწყების შესახებ მოსალაპარაკებლად.**

თუმცა ეს კრება მეორეა, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, მაინც კანონიერი იქმნება თანახმად წესდების 30—31 მუხლისა.

კრებაზედ წევრობის მსურველთაც შეუძლიანთ დასწრება.

(5—უ.—2)

ქართული თეატრი

შაბათს, 4 მაისს, 1902 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ

ვლ. **ალექსი-მესხიშვილის**

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

I

ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარ. ზ. ჩიქვაიძისა.

II

ბედნიერი ცოლ-ქმრობა

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილისა, კავთელი და სხვ. ბ-ნნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე და სხვ.

დასაწყისი 8½ საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება „სამშობლო".

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს, რომ იმ პირთა სია, ვისაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების ოთხის წლით, 1902—1906 წწ., არჩევანში, თანხმათ 35 მუხლის საქალაქო დებულებისა, საყოველთაოდ გამოცხადებული იქმნება ამ 1902 წლის მაისის თხუთმეტს.

საქალაქო დებულების 33 მუხლის მერვე პუნქტის ძალით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერც წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულზეც ქალაქის დასაფასებელ გადასახადისა ნახევარ წლისაზე მეტი ითვლება, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც ჰსურს არ დაკარგოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დააჩქაროს გადასახადის შემოტანა, სანამ საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაწესებულია საქალაქო დებულების 38 მუხლის ძალით. 9 აპრილს 1902 წ.

(3—ნ.—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობა.

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოსავნებ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

(5—უ.—1)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანი

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ნ. შაპაროვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—[illegible] 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.
ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
გ. გ. მალალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ვ. დ. ლაბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

1902 წ. მაისის 1.

თუმცა ჩვენი გაზეთი „ივერია" დღესაც ბ-ნ ი. გ. ჭავჭავაძის გამომცემლობით გამოდის, მაგრამ რადგანაც დღევანდლიდგან გაზეთის გამოცემა ახლად დაარსებულმა „ივერიის" ამხანაგობამ იკისრა, ამისათვის დღეის იქით ყოველი ქება და საყვედური გაზეთ „ივერიის" გამოცემისა ეკუთვნის ამხანაგობას და არა ბ-ნ ილია ჭავჭავაძეს.

უცხოეთში გამომცემელნი ამხანაგობანი ისე გავრცელებულია, რომ კერძო კაცისაგან გაზეთის გამოცემა ძალიან იშვიათია. ქართველობაში „ამხანაგობა", მეტადრე ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში, სრულებით არ არის მიღებული და „ივერიის" გამომცემელი ამხანაგობა თითქმის პირველი მაგალითია ჩვენში. ამიტომაც ჯერ ძნელია სთქვას კაცმა სასიხარულოა თუ არა გაზეთ „ივერიის" გამომცემლობის ცვლილება.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ძნელი საქმეა დღიურ გაზეთის ფარსაგად გამოცემა, რომელიც დამოკიდებულია გამომცემლის ჯიბეზედ, გემოზედ, შნოზედ, საქმის ცოდნაზედ, შორს-მხედველობაზედ, ბევრჯელ ბედსა და იღბალზედ; ამისთვის ბევრი იკითხავს, გამოიჩენს თუ არა ამხანაგობა „ივერია" ზემოხსენებულ საჭირო შნოს ამისთანა ძნელ საქმეში, როგორიც დღიურ გაზეთის გამოცემაა. ამ კითხვის პასუხს მხოლოდ მომავალი მოგვცემს.

დღევანდლამდის ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის ასპარეზზედ გამოდიოდნენ თვითეული კერძო კაცნი, ზედ ალევდნენ თავიანთს ჯანსა, სისხლსა და ხორცსა, და თითქმის მთელ ქონებასა და არც ერთს მათგანს არავითარი კერძო სარგებლობა არა ჰქონია. დღეს ჩვენში აღარ მოიპოვებიან ისეთი ქართველები, რომლებსაც შეუძლიანთ ქართულ გამოცემაზედ თავიანთი საცხოვრებელი გარდაავონ; არ არიან ერთის მხრივ იმიტომ, რომ ქართულ დღიურ მწერლობამ იმდენად გაიმაგრა ფეხი, რომ შიში აღარავისა აქვს იმის სიკვდილისა და ამის მადლობა, რასაკვირველია, ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადუხადოს იმ ზემოხსენებულ კერძო კაცებს, ვინც თავისი ნიჭი, ღონე, ცოდნა და ქონება შესწირა ქართულ დრო-გამოშვებით მწერლობის გამოცემას და იგი ფეხზედ დააყენა; მეორეს მხრივ, ჩვენში აღარ მოიპოვებიან ისეთნი, რომლებსაც ქართული მწერლობაც უყვარდეთ და ამ საყვარელ საქმისათვის საჭირო ფულიც ჰქონდეთ; ასე რომ, ვისაც შეძლება აქვს, ქართულ დრო-გამოშვებით მწერლობის სიყვარული არა აქვს და ამიტომ არცა ჰშველის ქართულ გამოცემას; და ვისაც ფული არა აქვს, თუნდა ძალიანაც უყვარდეს, ის, რაღა თქმა უნდა, გაზეთის გამოცემას ვერ იკისრებს.

სწორედ ამ გარემოების მიზეზით შესდგა ჩვენი „ივერიის" ამხანაგობა. იმედი გვაქვს, რომ ახლად დაბადებული ამხანაგობა „ივერია" [illegible] გაზეთის გამოცემას, და ყველა წევრი ამხანაგობისა არ დაზოგავს თავის ძალ-ღონეს გაზეთის გასამშვენიერებლად; თუ გარეგან გამშვენიერებასთან ამხანაგობა გაზეთის შინაგანსაც არ დაივიწყებს და საკმაო ნიჭიერ თანამშრომლებს მუდმივ იყოლიებს, მაშინ შიში აღარავისაა და, როგორც გაზეთ „ივერიას", აგრეთვე ახალ ამხანაგობას, აუცილებლად მოელის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

ტფილისი

◆ კვირას, 28 აპრილს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ალექსი მცხეთის ტაძრის დასათვალიერებლად იყო. ექსარხოსს თან ახლდნენ ამ ტაძრის განახლებისათვის შემდგარ კომიტეტის წევრნიც. ექსარხოსმა დაათვალიერა მცხეთის ტაძარი, ინახულა დედათა მონასტერი და საღამოს ისევ დაბრუნდა ტფილისის კომიტეტის წევრებითურთ.

◆ როგორც შევიტყეთ, წელს ტფილისს მეორე გიმნაზიაში 12 ქართველი მოსწავლე ათავებს სწავლას. თითქმის ყველანი უმაღლესს სასწავლებელში აპირებენ წასვლას.

◆ წარსულ გამოფენის «ხალხის გასართობი» განყოფილებისაგან ტფილისის მცხოვრებ ისააკ დანდუროვს უყიდია რაღაც საიჯარო საქმეები და ამის გამო განყოფილებას დანდუროვისა 1000 მანეთი ვალი დასდებია. დანდუროვს ფული თავისს დროზე რაკი ვერ მიუღია, უჩივლია ტფილისის მომრიგებელ მოსამართლესთან, მაგრამ სარჩელი მიუტანია იმ პირებზე-კი არა, ვისაც ეს განყოფილება ეკუთვნოდა, არამედ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაზე, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია განყოფილებასთან. განყოფილება ყოფილა ი. ა. თაიროვისა, მარკოზოვისა, ქეფანჯიანცისა და სხვ., სულ 30 კაცის ხელში. ამის-და მიუხედავად მოსამართლეს საქმე გაურჩევია და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისაგან დანდუროვისათვის 1,000 მანეთი მიუსჯნია. ამ საქმის გამოძიება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თხოვნით მოსამართლეს მეორედ დაუნიშნია. გუშინ, 29 აპრილს, ეს საქმე გაარჩია მოსამართლემ და დაადგინა წინანდელი განჩინება. სამეურნეო საზოგადოებამ არ იცის, როგორ მოხდა ეს და იმიტომ საქმის გადატანას აპირებს ოლქის სასამართლოში...

◆ გუშინ, 30-ს აპრილს, ტფილისის მე 3-მე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ გაარჩია საყურადღებო საქმე სვიმონ ცოტაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ნება-დაურთველად და უკანონოდ მკურნალობა. ცოტაძე, რომელსაც სამკურნალო განათლება არ მიუღია, სწამლობდა ავადმყოფებს ძველის კარაბადინებით და ბალახებით.

საქართველოს ამბები

ს. წინანდალი (თელავის მაზრა). წინანდალი ერთი შესანიშნავ სოფელთაგანია ზემო კახეთში თვისის მდებარეობით და ჰავით. გაშენებულია ვაკე ადგილზედ, სამხრეთით აქვს ხშირი, დაბურული ტყეები, საიდგანაც გაზაფხულ-ზაფხულობით ცივ გომბორის ნიავს მოაქვს ყვავილ-მცენარეთა და სხვა-და-სხვა გვარ ხეების ფოთოლთა სურნელება. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გაშენებულია ზვარ-ვენახები და გაჭიმულია მინდორ-ველები, ვიდრე ალაზნის კიდემდე. წინანდლის ღვინის თვისების შესახებ ხომ მეტია ლაპარაკი. უკეთესი ღვინო იშვიათია კახეთში, ნამეტნავად გრძელ-მინდვრის ღვინო, რომელიც ყველგან სანაქებოა.

ამისთანა ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ ადგილ-მდებარეობაში მკვიდრთათვის ადვილი და ხელ-საყრელი ცხოვრება იქმნებაო, რასაკვირველია, იფიქრებს მკითხველი, მაგრამ საუბედუროდ ძრიელ მოსტყუვდება. აქაური გლეხობა ორ ნაწილად განიყოფება: სახელმწიფოებად და საბატონოებად. პირველთ კიდევ მოეპოვებათ თითო-ოროლა დღიური სახნავი და აგრეთვე ვენახებიც თითო დღეტინა და ზოგს მეტიც, მეორეებს-კი (საბატონოებს) [illegible] მთელ ჩამოთვლილს მინდორ-ველებს და ვენახებს, ნაკლები წილი უფრო აქაურ თავად-აზნაურებისაა და მომეტებული-კი, ალაზნამდე, ტყიანი თუ მინდვრიანი, საუფლისწულოებად (სახელმწიფოებად) შექმნილა, თუმცა ის ადგილებიც ერთ დროს სათავადოები ყოფ

საქონლის ყოლა აქ ძალიან იშვიათი კი როგორ არ იქნება იშვიათი, რო

საქონლის შენახვა თითქმის მეტი ჯდება ვიდრე ქალაქად, უსაძოვრობისა გამო. ამისთვის არის, რომ მთელ სოფელში, რომელშიაც 250 კომლია, მხვნელ-მთესველთ რიცხვი 50 კომლს არ აღემატება; ესენიც ჰხვნენ მხოლოდ იმდენს, რამდენიც მარტო თვითონ ეყოფათ ახლობამდის, თუ კარგი მოსავალი იქმნა. ამისათვის დანარჩენი ხალხი იძულებულია იყიდოს ისევ სხვა მახლობელ სოფლებიდგან ხორბალი, ან თელავის ყანთარზედ ფქვილი და იქვე მეთონე-მეფურნეებისგან გამომცხვარი პური. ამისთვის წინანდლელების ცხოვრება უფრო მოქალაქურსა ჰგავს, ვიდრე სოფლურს.

მაშ, დანარჩენი არ მხვნელ-მთესველი ხალხი რიღათი მიდის იოლად?.. ესენი ზოგნი თვიურად და ზოგნიც დღიურად მუშაობენ საუფლისწულო მამულებში და მით დღიურად ირჩენენ თავსა და არჩენენ ცოლ-შვილს. ან-კი რა ენაღვლებათ, ცოტ-ცოტა სახარჯი ფული ყველა მათგანს გამოულეველადა აქვს და, ხომ მოგეხსენებათ, გლეხ-კაცს როდესაც ფული აქვს ჯიბეში, უშიშარია და გაბედული. გარეგანი განათლება უფრო ამათ ეტყობათ. ჩაცმა-დახურვით, ყოფა-ქცევით, თუ სახლების და ეზოების სუფთა მოწყობილობით, ესენი ბევრად განირჩევიან მხვნელ-მთესველთაგან.

სწავლის მადა აქაურებს ჯერ-ჯერობით სხვენზედ აქვთ შენახული და ღმერთმან უწყის, როდის მიაგნებენ. მთელ სოფელში ერთად-ერთი ზრდის შვილს თელავის სასაქალაქო სასწავლებელში. საკვირველია და მასთან სამწუხარო, ნეტავ, რამ დაუხშოთ ასე სწავლის ხალისი! კიდეც ამისთვის არის, რო ქონებრივადაც ასე უკან ჩამორჩენიან სხვებ აქაურს კაცს თუ სკოლაზედ გაუხსენე სი ყვა, პირველი მოსისხლე მტერი იმისი შეიქნები. მაშინათვე სიტყვას პირზედ შეგა ნავს და მომზადებულ აზრს საკეთილო დომხალსავით აგირევს მკვახე უარის თქმ —„ჩვენ სკოლა არ გვინდა, არა, არა არა! ვისაც სწავლის შნო აქვს და გან თლება სწყურიან, აი სკოლა ლაზედ მიგითითებს). მაგა ვერ ასწავლიან"-ო. ქართ მა რომ პირველ-დაწყე სულ ენაზედ დაიწყოს ბლად რუსი ქალია, რომელიც უმძრახად არის ქართულთან), რასაკვირველია, გონება და შობა და კარგად ვერაფერს ისწავლის, მაგ აქაური მაგალითად თავის თავს წარმოგ გენს: „მე თუ სკოლაში არ ვყოფილვარ, ტომ რუსული არ ვიცი, „ნეპრემენად" სკოლაში არ ისწავლა კაცმა, კაცი არ იქნე Человѣкъ, если захочитъ и постараитс все сдѣлитъ и все будитъ!.. ეჰ, მახლობ ტყუილად არ არის ნათქვამი: ღმერთი რო კაცს გაუწყრება, პირველად ჭკუას წაართმევს

მთელი აპრილი თითქმის სულ წვიმებ მიდის, ყანის მოსავალს ჯერ-ჯერობით ძრი კარგი პირი უჩანს. ვენახები ძალიან აზარა ერთბაშმა ავდარმა, ნამეტნავად წვრილი დააზრო.

ი. ხუციშვილი

—

სოფ. ლესა (ჩიბათის საზოგადო ოზურგეთის მაზრა). ლესა ლანჩხუთს ახლ 7 ვერსის მანძილზედ. ლესა უხვად დაჯ დოვებია ბუნებას.

აქ სცხოვრობდნენ ძველად გურიის მთ შვილები: დავით, გრიგოლ, ლევან და გი გურიელები და შემდეგ დავით მიცვალ დის, ხოლო შემდგომ მისი შვილები და -კი მარტოდ ვარდენ დავითის ძე გური ოლო სხვა ძმები გადასახლდნენ ქალა ბებში.

უკეთუ მიწის სიკეთით არა, ისე ძ ლესის სოფელს არ ამოირჩევდნენ საცხ ბლად მთავრის შვილები.

საზოგადოდ მთელს სანაპიროში საწ ლების უქონლობაა ხალხის შემავ . აქ, ლესაში, ჩამოდის ჯუმათის მთებიდან „ლესის წყალი", რომე რის გაშენებული ოც წისქვილამდ უყოფილებს, არა თუ მარტო ადგი ცხოვრებლებს, მრავალს გარეშეთა ოფელში გადის ჩრდილოეთისაკე , აგრეთვე პირდაპირ მიდის ჯ და მერმე წყლებით და პალიას ით ქ. ფოთამდის და ამ გზით მე

რებლებს გააქვთ გადანარჩენი თავისი ჭირნახული გასასყიდად ფოთში. ლესას და ფოთს შუა მდებარეობს დიდი ტყე. ოზურგეთისაკენ რამდენისამე სოფლის გავლით მიდის ლესიდან გზა.

მცხოვრებლები ეტანებიან მომეტებულად სიმინდის მუშაობას, რომელიც მიწის სინოყიერით საკმაოდ ჯილდოვდება; აგრეთვე ეტანებიან მცხოვრებლები ხე-ტყის მუშაობას გასასყიდათ და მით კმაყოფილნი არიან. ლესაში არსებობს სამრევლო სკოლა, დაარსებული 1897 წელს. ჩიბათის საზოგადოებაში სამინისტრო სკოლაც არის ორ-კლასიანი, მაგრამ იგი ვერ იტევს საზოგადოების ყველა ყმაწვილს, რადგან საზოგადოება 600 კომლს აღემატება.

რკინის გზის გამო ამ სოფლებში ცხენები ნაკლებია, უფრო იმისთვის, რომ სადაც საბალახოა იქ გადის რკინის გზა და ჰყლეტავს პირუტყვს. მაგრამ მაინც ისეც აიღეს ხელი ცხენების ყოლაზედ. უცხენოდ-კი გაგვიძნელდა ცხოვრება. ამ მხრივ ძალიან გვიშველა სოლომონ ღლონტმა, რომელმაც დილიჟნის მიმოსვლა დააარსა. ამ აზრით შეისყიდა ერთი დილიჟანი, ორი ეტლი და ერთიც ლინეიკა. პირველად დაიწყო ლანჩხუთიდგან ლესამდის დილიჟნის ტარება დღეში ორჯელ, დილით 8 საათზედ და საღამოს 4 საათზედ, აგრეთვე ლინეიკის ტარება, ნიგოითის სადგურამდის. ლანჩხუთიდან ლესამდე ფასი 30 კაპეიკია ერთის კაცის გადაყვანა. ეტლი ლესამდის 1 მანეთი და 60 კაპ. აგრეთვე ლანჩხუთიდან ნიგოითამდის ერთი კაცის წაყვანა 25 კაპეიკია, ხოლო ეტლები დადის მოთხოვნილებისამებრ.

დილიჟანს და ლინეიკას ვანდობთ ფოსტაში ქაღალდების მიცემას, ბარათების და გაზეთების მიღებას და მოტანას ყოველ დღე და აგრეთვე ბაზრიდგანაც, თუ ცოტა რამ დაგვჭირდება, სიამოვნებით ასრულებს ჩვენს მინდობილობას ღლონტის კაცი. ამ გვარის თავისის მოქმედებით ბ-ნმა ს. ღლონტმა ნიგოითის, ლანჩხუთის, ჩიბათისა და ჯურუყვეთის საზოგადოების მცხოვრებლები დიდად დაგვავალა. ეხლა უზრუნველნი ვართ შესახებ წასვლა-მოსვლისა ტირილზედ, ქორწილში და სხვაგან. უმეტესად ავადმყოფობის დროს შეგვიძლიან ადვილად მივიდ-მოვიდეთ. ავადმყოფი გაგვყავს ლანჩხუთში და, თუ საჭიროდ დარჩა, იქიდგან სხვა ქალაქებში ექიმებთან, აგრეთვე მოგვყავს ლანჩხუთიდგან სახლში ექიმები.

ეხლა გავიგეთ კიდევ, რომ ბ-ნ სოლომონ ღლონტს განუზრახავს და კიდევაც ემზადება დაიწყოს ლინეიკის მსვლელობა გათხრილის ძირით და აქეთით გოგიბერიძისა და ორდანიას ქარხნამდის, რომელიც სდგას მდ. სუფსის პირად, ნაგომრის პირდაპირ. ამ შემთხვევაში უკეთესი ბორანი იქმნება სუფსაზედ, ნაგომრის გზას შეუერთდება ლანჩხუთიდან მიმავალი გზა, ივლის გაუჭირვებლად და მსუმბუქათ მსურველი, მაგრამ ამ კეთილ განზრახულ საქმის განხორციელება არის დამოკიდებული ბ-ნ ლანჩხუთის ბოქაულზედ, რადგან ღელეებზედ არ არის ბოგირები და [illegible] არის და უვარგისი. უკეთუ ამას მიექცევა ჯეროვანი ყურადღება, დიდს სარგებლობას მოუტანს ქვეყანას და იმედია, რომ ბოგირებისათვის რაც ხე-ტყის მასალა დასჭირდება, ქარხნის პატრონები არ დაიშურებენ და შემწეობას აღმოუჩენენ სოფელს; ამ გზის შეკეთება მათთვისაც დიდად სასარგებლოა.

ლესის მცხოვრებთაგანი.

—

ქართლის ამბები.

—

მოგეხსენებათ მარტი ჭინჭულიან და შფოთიან თვედ ითვლება, მაგრამ წელს მარტმა თავი ისახელა და ჩინებულად ჩაიარა, ასე რომ აგვადებინა ფეჩები, ჩაგვაქრობინა ბუხრები, ჩაგვაცვა ზაფხულის ტანისამოსი, ვაზმა, ხეხილმა ძალზე გამოიწია, გვეგონა ეს არის დაგვიდგა გაზაფხული და გავიშალენით წელშიო, მაგრამ დადგა აპრილი თუ არა და აირია მონასტერიც: დაიწყო უდიერი სიცივე, ყინვა, თოვლი და წვიმები. თქმა არ უნდა, არც ვაზს ამოტყუებულს მარტის კარგის ამინდებისა გამო და არც ხეხილს აპრილის სიცივე და ყინვები ხეირს არ დააყრის.

გამუდმებულმა წვიმებმა ააფორიაქა დიდი და პატარა ლიახვი იმ გვარად, რომ არე-მარე თან მოჰქონდათ. ერობის ფულით გაკეთებული ორმოცდა-ხუთი ტივის ხით სამ კუთხე ეგრედ წოდებული „კონუხი“, მიდგმული ბურჯზე, მაგრად გადაჭედეული ერთმანეთში და დიდრონის რკინებით დაკეტილი, რომელშიაც ათი-ათას ფუთზე მეტი ქვა ეყარა, რომ წყალი შუა გაეყო და ახლად შეკეთებულ ბურჯისათვის არა ევნო-რა, აბარგა მთლიანად ადიდებულმა ლიახვმა და გააქანა საღიანისაკენ. ქვა და ფიჩხის „დამბა“ და ცემენტით აშენებული კედელი ჯერ მაგრად არიან და ბოლოს რა იქნება, ღმერთმა იცის. ეს-კი უტყუარია, რომ ადიდებული წყალი დიდს ზარალს მიაყენებს მცხოვრებლებს.

იქნება ცხინვალელებს დაავიწყდათ, რა უთქვამს ოდესღაც თავ-მოგიჟიანებულს ლიახვს:

„ლიახვმა სთქვა: ავდიდდები [1])
არაკვს დავედარები,
ისე მოვდივარ, მოვხშუი,
ფესზე არ მინდა ნალები.
მოვკლიჯე მაღლა-დოვლეთი [2])
მომაქვს ოსური სკამები,
ცხინვალის ხიდსა მიქებენ,
გარშემოვზვიე მკლავები.
ისე დავშალე ბურჯები,
არ მომდომია მუშები,
ისრები მხარზე გავიწყე,
არ მომდომია ხარები.
შერმაზანაშვილს [3]) უქებენ
ღვინო უდგია ლალები,
ისე დავხადე ქვევრები,
არ მომდომია ბარები [4]).
სამნი ძმანი გამოვიდნენ,
სამთავ ეჭირათ კავები;
სამნივ ერთმანეთს ვახალე,
დაუმტვრიე თავები!
ჩემი საყმო და მამული
დირბი [5]) და ტახტის ძირი [6])
ზამთარშია ყინვა იცის,
მოგვიკრჭილა კბილია,
ზაფხულში გვალვა სცოდნია,
ვერ დავიბანე პირია [7]).

პატარა ლიახვიც არ ჩამორჩა წელს დიდ-ლიახვს და იმსხვერპლა ერთი ცხენიანი კაცი, რომლის ვინაობაც ჯერ ვერ გავიგეთ. როდის რა გვეღირსება, რომ ამისთანა შემზარავ ამბებს არ გვაიგონებდეთ ჩვენის წყლებისაგან, ეს ერთმა ღმერთმა იცის.

მარტის უკანასკნელს რიცხვებში მოხდა ცხინვალში რამდენიმე ქურდ-ბაცაცობა. ამ ახლო ხანებში სოფ. დგვრისში ღამის რაინდებმა გატეხეს ერთი დუქანი და დღე ისე არ გავა, რო არავინ გაიქურდოს. სულ რომ არა იყვეს რა, საქათმედგან ქათმები მაინც მიჰყავთ.

ამ დღეებში სოფელს დმენისში მოხდა დიდი უბედურება: დმენისში უყენია ამილახვარს ოთხი ყარაული აჭარელი თათარი, რომელთაც უნდა დაიცვან საზღვარი და მამული. ამ სამის დღის წინად სოფელ სათიხრელების (ახლოა ერთ-ერთზე ეს სოფლები პატარა ლიახვს გაღმა) საქონელი გასულა დმენისის მამულში, ყარაულებს დაუჭერიათ საქონელი და დაუმწყვდევიათ. ეს შეუტყვიათ სათიხრელებს იმ დროს, როდესაც სამღვთო ჰქონიათ და შექცეოდნენ. რა შეუტყვიათ, რო ჩვენი საქონელი ყარაულებს დაუმწყვდევიათო, წამოცვივნულან დიდი, პატარა, ქალი, კაცი ჯეტებით, ცულებით, წალდებით, ბარებით, თოხებით, ხმლებით, თოფებით და ხანჯლებით, ერთი სიტყვით, რაც-კი იარაღი შეხვედრიათ ხელში და მისწრომიან ყარაულებს, მოუკვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც დაჭრილა სასიკვდილოდ სამი სათიხრელი და ერთი ყარაულთაგანისათვის მოუჭრიათ ცულით ერთი ფეხი და ერთი მკლავი. სამნი-კი, რაც-კი გამოდევნიათ პატრონები, გაქცეულან და გადაურჩენიათ თავები. ამბობენ, დაჭრილებიც ბლომად არიან სათიხრელებიო. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არა ვიცით რა. როდის მოეღება ბოლო ჩვენის მამულების დავი-დარაბას და ხალხის ჟლეტას, ვინ იცის!..

ოც და სამს აპრილს მოდის დღეობა გიორგობა. სხვათა შორის, სოფელ ფხვენისშიაც სცოდნია ეს დღეობა და აუარებელი ხალხი მისულა სალოცავად მაგრამ მლოცავების განსაცვიფრებლად ეკლესიას კლიტე ედო და არავის არ უშვებდნენ. აი, რას მოგახსენებენ ამისას. სოფელს დაუდვია წესად, რომ ამ დღეს ქალები ეკლესიაში არ შეუშვან, რადგან სოფლელების აზრით სეტყვა იცის თურმე და რომ აიცდინონ ბუნების ეს მავნებელი მოვლენა, აუკრძალავთ და ქალს აღარ უშვებენ აღნიშნულს დროს ეკლესიაში.

ამ გვარად აუარებელ ხალხი, მისული სალოცავად, პირჯვრის დასაწერად და სანთლის ასანთებად, დაბრუნებულა უკან წევა-კრულვით. მოგახსენებენ, სულ რო ცოტა, ამ დღეს სანთლის ფული უკანასკნელი ორი სამი თუმნისა გაიყიდებოდა, იმდენი მლოცველი იყო და მღვდლის საწირავი კიდევ სხვა. როდინდელი შემოღებულია ეს წესი ფხვენისში, არ ვიცით და არც რა საბუთით ასაბუთებენ ამ უცნაურს მოვლენას, არც ეს ვიცით. ეს-კი სათქმელი არი, რო ვინ მოსთვლის სადამდის მიჰყავს უმეცრებას და ცრუმორწმუნოებას ხალხი და პატრონი-კი არა ჰყავს თვალი აუხილოს ბრმად მოსიარულე ხალხს. რას ფიქრობს და რა აზრისაა ადგილობრივი მღვდელი, ნუ-თუ მასაც სჯერა უვიცი ხალხის ცრუმორწმუნოება და არ შეუძლიან აუხსნას, თუ რაოდენად სცდება ხალხი?!..

არა ნაკლებ საკვირველი ამბავი ის გახლავთ კიდევ, რომ ჩვენი ზოგიერთი მღვდლები ძველის-ძველ ეკლესიების ნაშთთ ანგრევენ, თლილს ქვებს იღებენ და ზოგი ძეგლებს უდგამს თავის მიცვალებულს და ზოგიც სახლის კიბეების საფეხურებად ხმარობს. ჩვენი მოძღვარნი რო ასე ექცევიან ჩვენს წმიდა სალოცავებს, ძველის-ძველ ნაშთებს, რა მოვთხოვოთ შეუგნებელ უვიცს ხალხს, რო უპატიურად ეპყრობოდნენ ძველს ეკლესიებს და ისტორიულ ნაშთებს!...

რაე და ფარი.

---

[1]) ეს ლექსი გვითხრა სოფ. ერედველმა გლეხმა ლექსო (მეტ სახელად ეძახიან კოლოტას) ბერუაშვილმა.

[2]) მაღლა-დოვლეთი სოფელია ოსებში.

[3]) შერმაზანაშვილი ცხინვალში მცხოვრებელ სომხის გვარია.

[4]) ოდესღაც მოვარდნილა ლიახვი, შევარდნილა შერმაზანაშვილების მარანში, ამოუყრია ქვევრები და გაუქანებია თავქვე, რომელსაც დასდევნებიან სამნი ძმანი ნევს კავებით შერმაზანაშვილები, მაგრამ ამაოდ, წყალს აქეთ-იქით მიუწყვეტებია და დარჩენილან ცარიელნი.

[5])—[6]) სოფლების სახელებია.

[7]) ზაფხულში ისე დაშრება ხოლმე ზემო დასახელებულ სოფლებში წყალი, რომ პირის საბანიც-კი აღარ არის.

---

26 აპრილს, ალექსანდრე ნანეიშვილის წინადადებით, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელით, გუბერნიის მარშალმა სიმონ ლორთქიფანიძემ შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ჩვენს თანამემამულეს, ქართულის ენის დამსახურებულ პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტში ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს მისის 30 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ მომანდო გულ-წრფელად მოგილოცოთ თქვენი ოც და ათის წლის სამეცნიერო და სალიტერატურო მოღვაწეობის დღე და გისურვოთ, რომ შემდეგშიაც განაგრძოთ სამეცნიერო ასპარეზზედ მოღვაწეობა საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

—

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ განსაკუთრებული კომისია აირჩია, რომელსაც მიანდო იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, ს. ბ. ლოლომბერიძე, თავ. ვ. გ. წერეთელი, თავ. ი. გ. აბაშიძე, პ. გ. წულუკიძე, კ. რ. გოცირიძე, ექ. ს. თაყაიშვილი, ნ. ა. დუმბაძე, თავ. ა. მ. ქოჩაკიძე, ი. პ. ჯაიანი, ი. მ. მეუნარგია, ლ. ტ. ლოლუა, თავ. ჯ. თ. დადეშქელიანი და კ. დ. ახვლედიანი.

—

პანკისი (თიანეთის მაზრა): მარტმა-კი არა და აპრილმა-კი ძალიან ჰკუა-თხელობა გამოიჩინა აქ წრეულ. პირველიდგან მოკიდებული ნახევარს გადააცილა თოვლჭყაპმა. გაფოთლილი ტყე და აყვავებული ხეხილი ცეცხლის ალით გატუსულივით წითლად გამოიყურება და ჩამოსდის გამხმარი ფოთოლი. მარტმა ბოსტნები აგვაჩქარებინა და აპრილმა-კი შიგ ჩაგვილპო ყველაფერი. ხეხილის იმედი სულაც არა [illegible] დაიგვიანა და შეიძლება იმ[illegible] გომაზედ კბილი გავაღვიძოთ, თუ იისაც არა დაეცა-რა. მახლობელ კახეთის სოფლებიდგან ამბავი მოგვდის ვენახები ადგილ-ადგილ სანახევროდ წაახდინაო. ორიოდე მზიან დღის გარდა, ცივ-ცივი ჟუჟუნა წვიმები დაჟინებული სულ თავს დაგვტირის. გუთნის შებმისა ჯერ აქ ჩამი-ჩუმიც არ არის.

—

იქიდგანვე: აქ ერთმა ახალგაზრდა ქისტმა ახალი სახლი დაიდგა; მეზობლის ქალი მივიდა და სახლს ათვალიერებდა; შიგნით რომ შევიდა, ბიჭიც თან შეჰყვა და კარები მიუკეტა: „სახლი დავდგი, ცოლი მინდოდა და შენც მომიხვედიო“. ქალის დამ გაიგო ესა და მაშინვე შემოიჭრა სახლის აივანზედ. შიგნით ქალმა უთხრა ბიჭსა: „არიქა ფანჯარასთან მიდი, ხალხი მოვიდა, შინ შემოგიცვივდებიან და მოგკლენო“. ბიჭი ხანჯალ-ამოღებული მართლა ფანჯარასთან მიიჭრა, ქალმა იდროვა, კარები გამოაღო და მოკურცხლა. დარჩა ბიჭი ხახა-მშრალი.

ქისტი ჩობანი.

—

ქუთაისი (ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა სია).

27 აპრილს თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ აარჩია ბანკის რწმუნებულებად:

მსესხებელნი 1 რიგისა: გ. აკოფოვი (22—0), ივ. ჯაიანი (19—3), ს. ნ. ლორთქიფანიძე (20—2), მ. დარახველიძე (21—1), დ. ა. ლორთქიფანიძე (18—5), მ. გ. ფაღავა (19—3), ნ. რაფაელოვი (18—5), ს. ბოკერია (17—5), ი. ალიბეგოვი (16—6), გ. კიზირია (16—6), დ. ს. ბოკერია (16—6), მ. გოკიელოვი (16—6), ა. მ. თუმანოვი (15—7), მ. ა. ქიქოძე (15—7), პ. მოსეშვილი (15—7), ს. კიკნაძე (15—7), ა. მურადოვი (15—7), გ. კემულარია (15—7), ა. კალატოზიშვილი (14—8), ნ. ერისთავი (14—8), დ. ნაზაროვი (14—9), ს. ფირალოვი (13—10), ა. საყვარელიძე (13 –10), მ. ვოლოხი (12—10), კ. გუგუშვილი (12—10), ი. პილაძე (12—10), გ. ზდანოვიჩი (12—10), ნ. მაჭავარიანი (12—10), ს. ჯორჯიკია (12- 10), ა. ეზიკოვი (12—10), ლ. ლოლუა (12—10), გ. გველესიანი (11—10), **მეორე რიგის**: გ. ვ. წერეთელი (37—3), ფ. გაბუნია (35—6), ა. ჟორჟოლაძე (29—12,) ი. ოცხელი (31—10), გ. დიდია (29—11), ბ. გაბუნია (27—13), თ. მთავრიშვილი (26 –16), ი. პურადოვი (25—15), მ. ქორქაშვილი (25—15), ნ. ჩიკვაიძე (25—15), პ. კიზირია (25—16), გ. ბარათაშვილი (24—17), დ. ბახტაძე (24—17), ა. ხაბურზანია (23—18), გ. ცაგარეიშვილი (23—18), მ. ამირეჯიბი (23—18), ყ. ლოთეშიძე (22—19), კ. ს. ერისთავი (22—18), ი. ნიჟარაძე (22—19), ვ. გაბუნია (23—5), ი. ფანცხავა (21—20), ბ. მოსეშვილი (21—20), ი. კოკოჩევი (21—20), ნ. ჯიჯიხია (21- 20), გ. ტატიშვილი (21—20), ი. მამაჯანოვი (21—20), ფ. გვიჩია (21—20), კ. დადიშკელიანი (21—8), ა. სააკოვი (20—9), ს. კლდიაშვილი (17—12), ა. მიხაილოვი (19—10), ა. სალავიოვი (21—8), ვ. დემიდოვი (18—11), პ. გრიგოლაია (18—10), მ. მურმანოვი (17—11); **მესამე რიგისა**: გ. იოსელიანი (36—8), ვ. ბებურიშვილი (36—8), მ. ხოჯაშვილი (35—9), ჯ. იაშვილი (35—9), ს. კუხიაშვილი (33—10), ი. განნევსკი (33—10), ა. ქურციკიძე (32—12), კ. აბაშიძე (32—12), რ. ჯაფარიძე (32—12), მ. ქველბაქიანი (31—13), ქ. ლორთქიფანიძე (31—13), დ. ალავიძე (31—13), ვ. ჩაჩიბაია (31—13), ე. გაბუნია (30—13), ა. თუმანოვი (30—13), ხ. აბულაძე (30—13), გ. ამირაგოვი (30—13), ს. გოგიჩაძე (29 –15), დ. ბუაძე (29—15), დ. მიქელაძე (29—15),

---

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

ქართული ლაპარაკი.

მოახლოვდა დრო ტფილისის საბჭოს ხმოსნების არჩევანებისა და დაადგა სიცხე-პაპანაქება ყველას, ვინც-კი ტფილისის საბჭოში ადგილის დაჭერას ეტრფიალება.

ვისაც ჩვენის ქალაქისათვის კეთილი ჰსურს და გული ეწვის, იმისათვის, რა თქმა უნდა, ამ გვარი ტრფიალება კანონიერად მიგვაჩნია; მაგრამ, აი, თითქმის თორმეტი წელიწადია, რაც თვალ-ყურს ვადევნებთ ამ უცნაურ ტრფიალებას და არჩევნების ბოლო ყოველთვის გვაკვირვებს. ამოირჩევენ ქალაქის მებატონეები თავიანთ თავს, დაიჭერენ ვაჟბატონები საბჭოში ალაგს, ერთხელ-ორჯელ მიბრძანდებიან საბჭოს კრებაზედ და, ქალაქის საქმეების განხილვის მაგივრად, ცუდ-უბრალო მასლაათში ატარებენ დროს და მერე... მერე მიეცემიან ისეთს განცხრომას, რომ თავრობა თითქმის კეტით ერეკება სხდომებს, რომ როგორმე კანონიერი კრება შეადგინოს და საბჭოს განაჩენი დაადგენინოს ქალაქის სხვა-და-სხვა საჭირო საქმეების შესახებ. მაშ რაღად მიეშურებოდნენ საბჭოში ადგილის დასაჭერად, თუ-კი იქ სხდომაც ეძნელებათ? აი, სწორედ ეს გვაკვირვებს და რადგანაც უმიზეზოდ არაფერი არა ხდება, ჩვენც ვგონია, რომ ამ უცნაურ თავ-პირის მტვრევის მიზეზი ალბად რაღაც დიდი საიდუმლო მისწრაფებაა.

დიდი, დიდი საიდუმლო მისწრაფება, მაგრამ დღეს ამაზედ ლაპარაკი უადგილოდ მიგვაჩნია. [illegible] განზრახულ, საიდუმლოება თუ [illegible]რა, თავი უნდა დავანებოთ; ჩვენ ჩვენი მიზანი უნდა დავისახოთ და მის აღსრულებას მივსდიოთ.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მიზნის დასახვის მაგივრად ცარიელ ლაპარაკში ვატარებთ დროს. ზოგნი ვამბობთ: გაგონილა, რომ ჩვენის დედა-ქალაქის საბჭოში ოცი ხმოსანი მაინც არა გვყავდეს? ის-კი გვავიწყდება, რომ, რაც ვიყავით, აღარა ვართ და, რაც გვქონდა, აღარა გვაქვს; ამოვარდნილ ოჯახს ცარიელი ლაპარაკით ვერასოდეს ვერ აღვადგენთ; ამოვარდნილ კომლის ალაგი სხვა ტომის ხალხის ოჯახობამ დაიჭირა და, რა საკვირველია, რომ მან თავისი წარმომადგენელი გაჰგზავნოს ტფილისის საბჭოში.

ჩვენ არ გვესმის რა ოხრობათ გვინდა ოცი, ანუ ათი, ანუ ხუთი ხმოსანი?! განა, წარმომადგენლობა მარტო რაოდენობაზედა ჰკიდია?! შეიძლება ორმოცი გვყავდეს და ერთად არა ღირდნენ, შეიძლება ერთი გვყავდეს და ასათა ჰღირდეს.

ჩვენი წარსული ცხოვრება ამით არის შესანიშნავი და სანატრელი მოსაგონებელი, რომ მტრის სიმრავლე ქართველს, არამც თუ არ აშინებდა, პირ-იქით, ამხნევებდა და საბრძოლველად აქეზებდა. დღეს-კი რაღაც ღმერთი გაგვწყრომია და, თუ ცხვრის ფარასავით არ გავედით ტფილისის საბჭოს ასპარეზზედ, ასე გვგონია დავიღუპებითო. მერე რა ჭკუაა, რომ ცხვრის ფარა მგლების ხროში შევრეკოთ? გვეტყვიან, აქ ვაჟკაცობაზედ ხომ არ არის საქმეო. ჩვენის აზრით, სწორედ ვაჟკაცობაზედ არის; ჩვენი წარსული ვაჟკაცობა, განა, მართლა მარტო მკლავსა და ძალზედ იყო დამყარებული?! როცა ძალა არა გვქონდა, ხერხსა ვხმარობდით; როცა ხმალი არა სჭრიდა, ჭკუას მივმართავდით.

დროა, ჩვენს წინაპრებს მივბაძოთ და დავადგეთ ერთს მკვიდრსა და თან საკადრისს გზას. ვეცადოთ ამოვირჩიოთ თუნდა ერთად-ერთი ქართველი ხმოსანი, მხოლოდ ჩვენგან ამორჩეული ხმოსანი უნდა იყოს აზრიანი, მხნე და დიდი შრომის ამტანი, რადგანაც საქმე ბევრი ექნება,—მცოდნე ყველაფრისა, რაც-კი საჭიროა ქალაქის საქმეების გამგეობისათვის, მოუსყიდველი და უსამართლობის მდევნელი. დარწმუნებული ვართ, რომ ერთი ამისთანა ხმოსანი უფრო ბევრს გააკეთებს ჩვენს სამშობლო ქალაქის საბჭოში, ვიდრე უქნარა ცხვრის ფარა, რადგანაც ჭკვას, მხნეობას, ცოდნა-განათლებას და სამართლიან სჯას, არამც თუ ოთხმოცი ტფილისის ღიპიანი მებატონე, არამედ მთელი პოლკი თავის ზარბაზნებით ვერაფერს დააკლებს.

ამ გვარ ხმოსანთა ამორჩევა ერთად-ერთი სურვილი უნდა იყოს მომავალ არჩევნებისათვის. თუ ჩვენში ამისთანა ქართველი არ მოიპოვება, რომ მართლა ღირსეულად თავი აჩვენოს ყველას, სჯობს ნურავის ნუ ამოვირჩევთ, რომ ამითი მაინც ავაცდინოთ ქართველობას ის სათაკილო სახელი, რომელიც ტფილისის ხმოსნებმა დიდი ხანია დაიმსახურეს.

ნინია გარეჯელი.

უიღბლო-იღბლიანი

(ზღაპარი)

(დასასრული *)

XII

ომარაანთა სოფელში
კიდევ ამბობენ მდიდრებსა;
საბრალოს ძმებსა ორივეს,
ქკვით და ოჯახით დიდებსა.
სჩანს არ მოუხდათ ცუდადა
მათ წინანდელი ხელობა:
თუ სხვას საწყევლად გაჰხდია,
იმათ ალაღებს მგელობა.
ზოგი თუ მოუპარიათ,
სხვა უშოვიათ ძალითა,
არ ინახვება მათ ყოფნა
კაცისგან ავის თვალითა.
არც მას დარდობენ, თუ სოფელს
ავსებენ ცოდვა-ბრალითა.
ცხვარიც ბევრი ჰყავთ, ძროხები
გაუდისთ ისევ ნახირად—
ერთს ალაგს არა თავსდება,
იმიტომ უდგათ სამ-პირად.
სახლებიც უკეთებიათ,
მეფეთ სრაების სადარად.
შინ ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი
მონაზიდია ნადავლად.
არწივს საწყალი საბრალო
მოუტანია აქა რად?!
სახლისა გვერდში ჩრდილივით
იგი მოსჩანდა ბეჩავად,
კაცებიც ვინმე მოდიან
უცნობის გასაჩხრეკავად.
მშობელს ადგილებს თვალს ავლებს
საბრალო, ჩუმად ტიროდა,
აგონდებოდა სიყრმის დრო,
ჟამთა ცვალებას ჰკვირობდა,
გულში ჰხარშავდა ნაგრძნობსა,
საქვეყნოდ არას იტყოდა.
სიკვდილის ჟამიც თავს ადგა,
ეხოცებოდა თვალები,
ავადმყოფია, წაჰხვლია
მუხლში და მკლავში ძალები.
ბევრი გამოჩნდა, რომ იცნეს,
იმ სოფლად კაცი-ქალები.
საბას, ოთარსაც აუწყეს
საბრალოს მოსვლა სნეულად—
საწყლობა მისი ყველაფრით,
დაძაბუნება სხეულად.
ძმებმა ძმა, ამის გამგონეთ,
მოიხსენიეს წყეულად:
„სად ეგდო დღეს აქამომდე
„რა მოიტანა, ეთრია,
„და ახლა კარს მოგვეყუდა,
„როს ღონე გამოელია!
„მისთანა მუქთა-ხორები
„ჩვენს ახლო-მახლოც ბევრია,
„ახლა ჩვენც უნდა დაგვბეგროს
„როგორც სხვა დაუბეგრია!?“
მოვიდნენ თავ-მოწონებით
თავზე წაადგნენ, დასცქირეს,
თავის უხამსის ქცევითა
მართალი ბევრი ატირეს.
მაინც იქ მყოფთა ყველათა
მათ ყოფა-ქცევა აკვირვებს.
თითონ საბრალოც ღონდება
რიღაცის თქმასა აპირებს,
მაგრამ არ ძალ-უძს, აღარა:
ენა არ ემორჩილება,
ძმებისაკე სწვდის ხელებსა,
ბავშვივით ეპოტინება,
თავის ძმებს, იმათგანაცა
ძმურს სალამს ელოდინება.
ან რა კაცია, ვისც წამი
მსგავსი არ ეცოდინება?!
ამაოდ. სულის ლევის დროს
ძმათ თვალებს ეკორტნინება.
აღარც იცოცხლა დიდხანსა,
მალედვე სული დალია.

---

*) იხ. „ივერია“ № 90.

[illegible] (28—16), ი. თუთბერიძე (28—16), ო. [illegible] (28—16), ს. ლეჟავა (27—16), ა. კობახიძე (27—16), [illegible] გაბუნია (27—17), კ. გვაჩეიშვილი (27—18), ნ. კვიმრაძე (25—19), ს. მირიანოვი (25—19), გ. კაჭკაჭოვი (24—20), მ. ჯანოევი (25—19), ი. სანებლიძე (24—20), ნ. უზნაძე (24—20), ს. დათეშიძე (17—12), კ. ადანაია (23—21), პ. ფაჩულია (12—1), ა. ამირეჯიბი (10—3), დ. კვირკელია (10—3).

დამფუძნებელ რწმუნებულთა სია. ქუთაისის მაზრა: კ. ბ. ლორთქიფანიძე (44—5), დ. ო. ნიჟარაძე (42—7), დ. ბ. მდივანი (40—9), დ. ბ. წულუკიძე (40—10), ს. ტ. წულუკიძე (39—10), ა. გ. წულუკიძე (39—10), დ. ბ. ხელთუფლიშვილი (37—13), ა. ლორთქიფანიძე (37—13), მ. ლორთქიფანიძე (41—9), პ. ა. თუმანოვი (36—13), ა. ნაკაშიძე (35—14), ან. გ. წულუკიძე (35—14), გ. ს. წულუკიძე (34—15), ა. ერისთავი (34—15), ნ. ლორთქიფანიძე (34—15), დ. ჩხეიძე (34—15), პ. ქორქაშვილი (33—16), ა. ნიჟარაძე (32—18), ნ. ნიჟარაძე (31—18), კანდ. ვ. ქორქაშვილი (31—18), კ. დ. ბაქრაძე (30—18).

ოზურგეთის მაზრა: კ. დ. ერისთავი (26—0), კ. ნ. ერისთავი (17—10), ა. მ. ერისთავი (26—0), ე. კ. ნაკაშიძე (20—7), ს. თ. ხუნდაძე (20—7), მ. გ. ძნელაძე (20—7), ნ. ყ. თავდგირიძე (19—8), ჯ. გ. გურიელი (18—7), პ. დ. ერისთავი (17—10), დ. კ. ერისთავი (17—10), ნ. ს. თაყაიშვილი (16—10), ვ. მ. ერისთავი (16—11), ი. ე. თიკანაძე (19—8), ვ. დ. გურიელი (16—9), ე. ს. თაყაიშვილი (15—11), კანდ. ა. გ. ბებურიშვილი (15—11).

რაჭის მაზრა: ს. დ. ჯაფარიძე (17—0), ე. დ. ჰიჰინაძე (16—0), პ. გ. წულუკიძე (17—0), კ. დ. წულუკიძე (17—0), კ. დ. გოცირიძე (17—1), დ. ს. გიორგობიანი (16—2), დ. ა. ყიფიანი (14—4), დ. ბაქრაძე (14—4), ი. თ. ბაქრაძე (16—2), გ. კ. ჯაფარიძე (14—4), ვ. ჯაფარიძე (13—3), კან. მ. ჩიკვაიძე (11—7).

ლეჩხუმის მაზრა: ი. გელოვანი (12—1), ჯ. თ. დადიშქელიანი (12—1), დ. დ. დადიშქელიანი (12—1), ა. დადიშქელიანი (12—1), ერ. გელოვანი (12—1), ა. გელოვანი (12—1), ნ. გელოვანი (13—0), კ. გელოვანი (12—1).

სენაკის მაზრა: ვ. ი. მხეიძე (34—0), ფ. დ. მხეიძე (33—0), ო. ე. დადიანი (33—1), შ. ი. მხეიძე (33—0), ნ. ნ. დადიანი (33—1), ს. ბ. თოფურია (31—3), ბ. გ. მხეიძე (29—5), ი. ე. დადიანი (30—4), მ. ბ. ფალავა (28—6), გ. ანჯაფარიძე (28—6), ა. თ. ნანეიშვილი (27—7), ნ. გ. ლორთქიფანიძე (28—6), გ. კ. ჩიჩუა (27—7), ა. მ. ქოჩაკიძე (27—6), გ. მ. დგებუაძე (26—8), კანდ. ვ. მ. მიქელაძე (25—9), ა. დ. გუგუშვილი (21—10).

შორაპნის მაზრა: ს. გ. წერეთელი (12—0), ს. დ. წერეთელი (11—1), დ. ი. ლეონიძე (12—0), ნ. კ. დიდირბეგოვი (11—0), ი. გ. აბაშიძე (11—0), ს. დ. ჯაფარიძე (11—1), ზ. დ. მაჭავარიანი (11—1), ი. დ. ჯაფარიძე (11—0), ნ. ს. წერეთელი (10—2), [illegible] აბდუშელიშვილი (10—2), გ. კ. აბაშიძე (10—1), [illegible] რ. წერეთელი (10—2), ბ. გ. წერეთელი (10—2), დ. დ. ქლენტი (10—2), ფ. წერეთელი (10—3), კანდ. ვ. გ. აბაშიძე (9—2), კ. აბდუშელიშვილი (10—2).

ზუგდიდის მაზრა: გ. კ. დადიანი (11—0), ი. ი. დადიანი (11—1), ნ. კ. დადიანი (11—1), მ. კ. ჩიჩუა (10—2), პ. ნ. ჩიჩუა (10—2), დ. ი. ჩიჩუა (10—2), ო. ლ. აფაქიძე (10—2), ტ. დ. ჯიჯიხია (10—2), მ. ნ. კობახიძე (10—2), ვ. გ. აფაქიძე (10—2), ა. ტ. აფაქიძე (9—3), მ. ლ. ლოლუა (9—3), გ. გ. ჯაიანი (9—3), ა. გ. გობეჩია (9—3); კანდ. დ. ს. ქვანია (8—4), პ. რ. ლეფანავა (7—5).

კავკასია

მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკავის რკინის გზის საზოგადოებამ გადასწყვიტა გაიყვანოს რკინის გზა შავის ზღვის მიდამო სადგურ ენემიდგან ახალ-სენაკამდე. ეს გზა გაივლის ტუაპსესა, სოჭსა, ადლერსა, გაგრსა და სოხუმზედ. მაიკოპში ცალკე შტო იქმნება გაყვანილი. გამოკვლევას და ადგილების დათვალიერებას ამ ახლო მომავალში შეუდგებიან. ამ ახალ გზას სიგრძე 510 ვერსი ექმნება. ვარაუდით დაჯდება იგი 50 მილიონი მანეთი.

რუსეთი

— როგორც „Кіевская Газета“ გადმოგვცემს, უარ უყვიათ პროექტი საშუალო სკოლის რეფორმისა. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ეს პროექტი შეიმუშავა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა გარეშე საქმეთა მინისტრად ყოფილი გენ. ად. პ. ს. ვანოვსკი. ეს პროექტი არ მოსწონებიათ მთავრობის უმაღლეს წრეებში. პროექტით უნდა დაარსებულიყო ახალის ტიპის შვიდ-კლასიანი საშუალო სკოლა. დღევანდელი მინისტრი საერო განათლებისა ბ-ნი ზენგერი განხილვის დროს წინააღმდეგი იყო პროექტისა. ამის გამო ბ-ნმა ზენგერმა განსაკუთრებული მოხსენება შეიტანა სახელმწიფო საბჭოში.

უცხოეთი

ინგლისი. ამ ჟამად ლონდონშია იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე და მინისტრ-პრეზიდენტად ყოფილი მატსუკატო. მატსუკატოს აზრადა აქვს ინგლისის სამრეწველო ქალაქები დაიაროს და შემდეგ კანტინენტზედაც გადავიდეს. ინგლისური გაზეთები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ამ მგზავრობაზედ. არავინ არ იცის, რა აზრით მოვიდა ინგლისში მატსუკატო. ცნობის მოყვარეობას აორკეცებს ისიც, რომ მატსუკატომ იაპონიიდგან გამოგზავნილი წერილები გადასცა ლორდ სოლსბერს, გარეშე საქმეთა მინისტრს და გავლენიან საპოლიტიკო მოღვაწეებს. მატსუკატოსთან ახლავს იაპონიის საბაჟო უწყების უფროსი მეგატა. ინგლისის გაზეთების სიტყვით, იაპონიას უნდა უფრო მეტად დაუახლოვდეს ინგლისს, უფრო მეტი ალებ-მიცემობა იქონიოს იმასთან, და მატსუკატოს მგზავრობის მიზეზიც ეს არისო.

საფრანგეთი. 14 აპრილს არჩეულ დეპუტატთა ერთს ჯგუფს ამას წინად კერძო კრება ჰქონია საფრანგეთის საქმეებსა და პოლიტიკაზედ მოსალაპარაკებლად. კრებამ გადასწყვიტა პარლამენტში ლაპარაკი ჩამოაგდოს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზედ, უმთავრესად საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების ურთი-ერთობაზედ. კრების აზრით ამიერიდგან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკამ უფრო მეტი სიმტკიცე, გამბედაობა და საქმიანობა უნდა გამოიჩინოს. კრებას, სხვათა შორის, დასწრებია ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორად ყოფილი დუმერი. ამბობენ, ეს დუმერი იქმნება ვალდეკ-რუსსოს მოადგილეო.

შეერთებული შტატები. სამხედრო სასამართლომ მანილაში [illegible] სმიტის საქმის განხილვა. როგორც ვუწყით, სმიტსა ჰბრალდებოდა ფილიპელების უმიზეზოდ დასჯა-წვალება. ბრალდებულის დამცველი უარს არა ჰყოფდა ფაქტებს, მხოლოდ ამბობდა, რომ „ომის დროს ყველა ასე იქცევაო“. ამას გარდა, ჩვენ წინააღმდეგ ბავშვები ბ დედაკაცები იბრძვიან. კუნძულ სამარზედ, მაგალითად, ბრძოლის ველზედ რვა წლის ბავშვები გამოდიან. სმიტიც ამათ ექცეოდა სასტიკად. განაჩენს არ გადმოგვცემენ გაზეთები, მაგრამ ამბობენ, რომ სმიტი გამართლებული იქმნებაო.

— ფილადელფიასა, პიტსბურგსა და სხვა ადგილებში მღვიმე-მაღაროს მუშებს გაფიცვა განუზრახავთ. მუშები კარგად მომზადებულან საბრძოლველად, ფული ბლომადა ჰქონიათ. მუშები რვა საათის მუშაობასა თხოულობენ სასყიდლის დაუკლებლად.

ისპანია. მკითხველებმა უკვე იციან, რომ მალე ესპანიის მეფის ალფონსის გვირგვინის კურთხევა მოხდება. დღესასწაულები დაიწყობა 11 მაისს და გასტანს 25 მაისამდე. მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა პროგრამა დღესასწაულებისა. როგორც ამ პროგრამიდგანა სჩანს, დიდ-ძალი ფული დასჭირდება დღესასწაულებს. გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ მომავალ დღესასწაულებისა გამო. თითქმის ყველანი ერთხმად სწერენ, რომ ამ გაჭირვების დროს, როდესაც ხალხი შიმშილით იხოცება, როდესაც შინ და გარეთ კრიზისია, რა დროს დღესასწაული და სახელმწიფო ფულის ხარჯვააო. მთელს ესპანიაში მოძრაობაა. დღესაც ბევრგან მუშები გაფიცულნი არიან, ქარხნები დაკეტილია და მუშაობა შეჩერებულია. მთავრობამ იმის მაგივრად, რომ ამ გაჭირვებას უშველოს, მალამო გამოსძებნოს, ბრძანება გამოსცა—ქეიფისა და ნადიმისათვის მოემზადენითო.

ჩინეთი. პეკინიდგან ინგლისურს გაზეთებს ატყობინებენ, რომ ჩრდილოეთ ჩინეთის ჩილისა და ხანნანის პროვინციებში ძლიერი მოძრაობააო. მცხოვრებნი აღელვებულნი არიან, რადგან ფულს ართმევენ და ჩინელ ქრისტიანებს ურიგებენ. ამას წინად აჯანყებულთ შეტაკება ჰქონდათ იან-შიკაის ჯართან. შეტაკების დროს ორისავე მხრიდგან მოუკლავთ 60 კაცი. იან-შიკაის სამი რაზმი გაუგზავნია მეამბოხეთა ქალაქებისა და სოფლების დასაქცევად. იმავე გაზეთის სიტყვით ხუნეის საზღვარზედ ჩინელებს ქრისტიანნი ამოუწყვეტიათ, მისიონერნი გაქცეულან.

— ამბავი მოვიდა, რომ ჩინეთის ქვრივი იმპერატრიცა მძიმედ არის ავადაო. სამკურნალოდ რამდენიმე ევროპიელი მკურნალი მიუწვევიათ.

ალდგომა სოფელში.

დიდი ხანია ჩვენს „მაცხოვარზე“
აღარ დაბმულა ძველი ფერხული
და „ქრისტე აღსდგა“ „გიხაროდენით“
არ გამაძღარა ჩვეულებრ გული.

—

ვითვალისწინებ ჩემს სიყმაწვილეს,
ამ საყდრის გვერდით აფრთოვანებულს
და რომ გადარებ იმ დროს და ამ დროს,
გადაჯურღმებულს და გახუხებულს,

—

გული მიკვდება და მაგონდება,
როგორც მხიბლავი ტკბილი სიზმარი,
ის წეს-რიგობა და ყოფა-ქცევა,
რითაც ცხოვრება იყო დამტკბარი.

—

ყოველ საუფლო დღეებზე ეს დღე
უტკბესი იყო!.. უნეტარესი!!
მადლი უფლისა—სუფევდა ქვეყნად
თვით ქრისტეს მიერ ჩამონაკვესი.

—

განთიადისას, მიმალვის წინად,
ცისკრის ვარსკვლავი რომ იწყებს ბდღიალს,
და, ძოწ-ლაჟვარდით შეფერადებულს
ციურ კამარას თვალში უყრის თვალს,

—

სწორედ იმავ დროს ყველგან საყდრებზე
სამახარობლო ივრონდა ზარი,
რომ აღსდგა მკვდრეთით მაცხოვარიო,
და ახალ-აღთქმას ეღება კარი!..

—

ამის გამგონეს, ერს თავ-მომწონეს,
ეკკლესიაზე მიეჩქარება,
თან მიაქვს რწმენა და სასოება
და იქ მოელის მას ნეტარება:

—

ლიტანიობენ!.. მხიარულობენ:
„ქრისტე აღსდგაო» და „ჭეშმარიტად!“
ის, ვინც ძველს აღთქმას და ახალსა სჯულს
ციური სისხლი დაუდვა ღვრიტად.

—

ყრმა და მოხუცი, ქალი და კაცი,
თვისი და სხვისა, მტერი, მოყვარე,
ყველა თანსწორად გამსჭვალულია
ზენა გრძნობებით და მომღიმარე;

—

არც უფროსობა, არც უმცროსობა!
აქ არც მონაა და არც უფალი;
გაურჩევლად მაცხოვრის მიერ
შეაკავშირებს მათ ძალთა-ძალი.

—

ხელი-ხელ მკლავზე გადახვეული
ქალი და კაცი, კაცი და ქალი
ფერხულს უვლიან საყდრის გარშემო,
ხმა-შეწყობილად, ტკბილად მღერალი,

—

ლოცვაა!—ლოცვა!! ეს როკვა-მღერაც,
ანდერძი წმინდა მამა-პაპების!
წინდი მომავლის და ქვა-კუთხედი
თვით-არსებობის და უკვდავების.

—

დღეს ვეღარ ვხედავთ ამ სანახავებს,
თან წაუღია ჩაიღუღის წყალს
და ქართველობის ნიშან-წყალიც-კი
აღარ ეტყობა არც კაცს და არც ქალს:

—

ძველი ზრდილობის, დარბაისლობის
გადასცდენია ხალხი გზა და კვალს,
ნაცვლად სიბრიყვე და თავხედობა
ეჩხირებიან ეკლად ყურს და თვალს.

—

ტკბილ ქართულის წილ „პრიშტი-პრუშტობენ“
ერთი მეორის არა ესმით-რა!
არც «ქრისტე აღსდგა», არც „ჭეშმარიტად!“
სულ სხვა გვარია მათი სიმღერა!..

—

ჰხედავ და გიკვირს, ეს რა ხალხია?
საიდან მოსულა? და სად მიდისო?
თუ არის ბოშა ხალხი მასხარა,
ან რას თხოულობს? ან რას ჰყიდისო?

—

აჰ, აღარ ეთქმის აქ «ქრისტე აღსდგა»
გადარჯულებულ გრძნობა-გულისთქმას
და მეც გავურბი ნაძალადევ დროს
გულ-დაწყვეტილი!.. აღარ ვიღებ ხმას!

აკაკი.

სასამართლო.

საზოგადო ცხოვრების ეხლანდელი მიმართულება—ის მატერიალიზმი, რომელმაც [illegible] კაცის გონიერება—ეს მისი ძვირფასი სამკაული, და ყველა მის საქციელს და მოქმედებას ბეჭედი ქონებრივის ინტერესისა, საშინელ [illegible] მეტად შემაფერხებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ეხლანდელის კაცის სულიერის აღზრდის, წმინდა იდეალების გამარჯვებისა. ეს საზოგადოების სიმშვიდისა და პატიოსნების ჩრჩილი, ეს ცხოვრებაში კაცის ბევრგვარ საზიზღარ მოქმედების დამკანონებელი, ეს ტალღა, თავისის საშინელის ძალით გამქრობი კაცობრიობის ნიჭიერ ელემენტების დიდდისა—შეუმჩნევლად შემოეპარა კაცობრიობის ცხოვრებას, დაუწყო კაცობრიობის ორგანიზმს—მის ყველა ნაწილს ღრღნა და [illegible] იმ განსაცდელს, რომელშიაც არის დღეს ჩავარდნილი კაცობრიობა. მან დაიმორჩილა და თავისფრად შეჰქმნა ყოველ-გვარი მოქმედება კაცისა და აღავსო ყველა ეს მოქმედება თავისის შხამით.

ეს წინასიტყვაობა ჩვენ საჭიროდ ვცანით იმისათვის, რომ აღვნიშნოთ, როგორც ფრანგები იტყვიან, raison-ი ეხლანდელ ჟურნალ-გაზეთების უმეტეს ნაწილის არა სანატრელ მიმართულებისა, იმ მიმართულებისა, რომელიც აიძულებს ჟურნალის გამომცემელს გაზეთი ან ჟურნალი ეს გონიერებისა და ჭკუის ნაყოფად ცნობის [illegible] და გარდაქციოს სიმდიდრის შეძენის [illegible] ამ სურვილით აიხსნება, რასაკვირველია, [illegible] მომცემლები ჰხმარობენ ყოველს ღონისძიებას [illegible] ვის გაზეთში დასტამბონ რაც შეიძლება სენსაციო ამბები და ამგვარ მასალას უფრო [illegible] ყურადღებას აქცევენ, ვიდრე იმას, რაც [illegible] შენელოვანია კაცობრიობის და ერის წინსვლისათვის. ჩვენ დიდ შეცდომათ მიგვაჩნია [illegible] ლითად, ის მოვლენა, რომ ჟურნალ-[illegible] იმ განყოფილებაში, რომელსაც „[illegible]“ ჰქვიან, ისტამბება ხოლმე მხოლოდ ის [illegible] რომელთაც სენსაციური ხასიათი აქვს [illegible] ეს ფრიად საყურადღებო განყოფილება გაზეთისა გაჰხადეს გასართობ და სასაცილო განყოფილებად. ჩვენის აზრით, ამ განყოფილებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადო ცხოვრების წინსვლაში, რომ მიმართულებაც უნდა სხვა ჰქონდეს და უფრო ფრთხილად უნდა შემუშავდეს ხოლმე, ვიდრე ზოგიერთ გაზეთებში ვხედავთ.

დღევანდელ პატარა წერილში ჩვენ არა გვაქვს აზრად დაწვრილებით ავხსნათ ის, თუ რა დიდი გავ[illegible] შორის საზოგადო ცხოვრების წინსვლასა და განათ[illegible]

რაც ფიქრი მისდევს ძმებზედა,
არ ჩანს იმისი კვალია.
არცა ვის პური მოსთხოვა,
არც ვის მოსთხოვა წყალია.
დაჩაგრულს სიმართლესა ჰგავ,
რა ფრიად შესაბრალია!
ან-კი რა? ყველას მიგველის
ღია სამარის კარია,
ოქროს კუბო და ფიჭვისა
მიწისთვის თანაბარია.
ან იქ ვიუბნოთ როგორა
აქედგან დანაბარია!?
ბევრი სჭირს კაცის გონებას
ამაოება მტკნარია!..
თუ რას მადლს იზამს ქვეყნადა,
მითი იცოცხლებს მკვდარია.
ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,
სხვა, დანარჩენი—მჩვარია,
ან ცეცხლი დასწვავს... თავისად
მოიხმარს მიწა-მყარია;
სხვა ყველა ფეხთ ქვეშ ეგება
მიწის, ბუნების კანონსა:
სულს ვერ ერევა მის ძალი
და ვერც გაუთხრის ხაროსა;
ვერ მოჰკლავს, ვერც დააბერებს,
ტანს ვერ შეუცვლის საროსა.
მიწისას მიწა მიიღებს
ყველას, რაც მაზე ხარობსა.
მაინც ხომ სულის ბუნება
მონა როდია მიწისა:
თავისი სამფლობელო აქვს,
თავის გზა კარგად იცისა!..

ჰყურობთ, საბა და ოთარი
რაებს ამბობენ ძმაზედა:
„ცოცხალიც ჩვენს ჭირად იყო,
„უნდა ვიხარჯნეთ მკვდარზედა“.
გაჭირდა ფასის გაღება.
სამს აღლს ტილოში ძალზედა,
ხალხში ბევრს საბრალოს ნაცნობს
ცრემლები მოსდის თვალზედა.
მადლობას სწირვენ უფალსა
სახე მიპყრობით ცაზედა.
ძმები სჩხრეკავენ საბრალოს,
ჰსურთ რამ უპოვონ ჯიბეში
და მართლაც ნახეს ბარათი
საწირავითურ თიკვებში...
გადაიკითხეს ბარათი,
თან „ნათათრალი სალია“.
დაასკვნეს ერთად ეს აზრი,
საბრალოც მისი ცალია:
უთაოდ თვითაც გათათრდა,
რომ მისთვის დაუვალია
საწირავების მოტანა...
ამასაც შეუწყალია.
ჩვენ ქრისტიანთა გვერდითა
როგორ დავმარხოთ ცხედარი?
ჩვენი ძმაც გათათრებულა,
სიმართლე რომ ვსთქვათ, ეს არი.
გაათხრეინეს საფლავი
ერთს მწირს და ხრიოკს სერზედა,
მის ახლოს არსად ხე იდგა,
არსად წყალია გვერდზედა.
და იქ დამარხეს საბრალო
შორს თავისიან მკვდრებზედა
და როგორც მკვდრისა წესია,
მიწა აყარეს მკერდზედა.

XIII

საკვირველი [illegible]
ძველის [illegible]
თურმე [illegible]
ერთი წ[illegible]

და ხშირად საფლავის სტუმრად
ღამ-ღამ ცით მთვარის ოდენი
სხივი ჩამოდის და ადის
ქვეყნად სინათლის მომფენი,
ვინაც-კი დაჰლევს იმ წყალსა,
რაც უნდა ჭირით პყრობილი
იყოს, მორჩება იმ წამსვე,
წყარო ისეა ცნობილი.
რასაც საბრალოს საფლავი
ჰხედავს მთებსა და ჰალებსა,
ყველგან რამ მადლი ტრიალებს,
მადლით ჰრწყავს არე-მარესა
მწყემსმა თუნდ თავის საწყემსო
მთელს წელს გაუშვას ოხრადა,
ვერაფერს ავნებს ნადირი
საქონელს ბეწვის ოდნადა.
ნეტარებს მხვნელი-მთესველი,
მიწის გულ-მკერდის მპობელი:
რასაც დასთესავს, თვია კვირობს,
ზღვა მოდის დაუშრობელი,
არც სეტყვა ავნებს, არც გვალვა,
არც თაგვი, პურის მტერია,
საბრალოს სამარის მადლი
ცხოველ-მცენარეთ მცველია.
და საცა საბა, ოთარის
იყო საფლავი, სამარი,
იქ თურმე დღეს აქამომდე
ჭაობი არის დამდგარი,
უცხოველო, წყალი იქიდგან
ჯერ არც ვის დაულევია,
თითქოს შხამი და ნაღველი
შიგ ვისმე გაურევია.
ოთხ-ფეხნიც მორით უცქერიან,
იქ არ სხდებიან ფრინველნი,
ვით სიკვდილის [illegible]
ჭობს იმისი მხილველნი.

ღამ-ღამ ჭაობით, იტყვიან,
ისმის ოხვრა და ტირილი,
ბოლოს ტირილის სანელად
ზედ გესლიანი სიცილი.
და დედა მუდამ შვილებსა
ასე არიგებს ჰკვიანად:
„ერიდეთ ჭაობს, თუ თავი
„არ გინდათ დასაზიანად!“
მხოლოდ თან ატანს სანთლებსა
იმისა გასამზიანად,
სერზე რომ არი საფლავი
მარტოკა, ოხერ-ტიალად.
მოხუციც ყრმათა უამბობს
ამბავს მართალის კაცისას,
რომ ყველამ მისი სურათი
გულს ჩაისახოს, ჩაისვას
და ტრფიალება კეთილის
თვალთა წამწამზე დაისვას,
თუ ჰსურთ, რომ მათი ხსენება
კიდით-კიდემდე გაისმას,—
კაცთა გამხმარმა ცხოვრებამ
ია და ვარდი დაისხას.

XIV

ფრინველი, ნეტავ, რა იქნა
ბედის-მძებნელის მტვირთველი?
— ენახათ, თორემ ამბისა
არავინ ჩნდება მკითხველი...
უზარ-მაზარის მხრებითა
იგი მთებისკე წასულა,
სადაც თვის მსხვერპლი ეგულვის,
იქ, იალბუზზე ასულა.
და ისევ ამირანისას
გულ-მკერდსა სწიწკნის მმაგადა.
ვერც ის გატყდა, ვერც თითონ
მოსწყინდა ქეცაც ავადა.
ვერ გაუთავა გულ-ღვიძლი,
ვერც ხორცში სისხლი გაუშრო.
როდი მოსწყინდა მის ტანჯვა
ერთხელ, ერთს ღამეს, გაუშო,
როცა საბრალო იტვირთა
და სამშობლოში დაუშო.
იმ დღიდან ამირანს დღემდე
მხოლოდ ეს თხოვნა უსმინა,
თორემ უმისოდ გმირისა
გულ-მკერდზე არი მის ბინა,
რამდენიც სიშმაგე მოსდის
სისხლის სმის, ხორცის გლეჯისა,
იმდნად საბრაზოდ უხდება
სალი კლდე გმირის თმენისა.
ვერ გაუგია, საიდან
ნაჭამი ლეში ივსება,
ან სისხლი რისი-ღა უდგა,
მისგან რამდენი ისმება?!
აი, იმ არწივს გმირისა
ხვეწნა-მუდარა ჰსმენია,
და ერთი მადლი მანაც ქმნა
სისხლის სმაც დაუთმენია
ცოტა ხანს, არა სამუდმოდ,
ღმერთს მისთვის გაუჩენია
და ამირანის გულზედა
მის კლანჭი დაუბჯენია.
კიდევ მადლობა უფალსა,
რომ ვერა ვხედავთ თვალითა
თვით ამირანის ტანჯვასა
შავის ღრუბელის ძალითა.
ჩვენ და მის შორის რომ წევს,
როგორც ვეშაპი, დიადი.
მის ნახვის გვრჩება ფუქადა,
მეცადინობა ფრიადი
და მხოლოდ გონების თვალით
უნდა განვსჭვრიტოთ [illegible]

მდებლობისა და სამართლის მიერ თვისის დანიშნულების ასრულების შორის. მეორეს მხრივ, მკითხველს უნდა შეგნებული ჰქონდეს, რომ კანონი და სამართალი არის ნიადაგი საზოგადოების ქონებრივის და ზნეობრივის სიმშვიდისა, კაცის კარგ თვისებათა აღმზრდელი და დამცველი, საზოგადო ორგანიზმის მიერ მის დანიშნულების მიმაღწეველი. ამიტომ, ცხადია, იმ განყოფილებაში, რომელსაც გაზეთები «სასამართლოს“ უწოდებენ, ჟურნალისტმა უნდა მთელი თავისი ენერგია მოანდომოს იმას-კი არა, რაც მკითხველის ცნობის მოყვარეობას დროებით დააკმაყოფილებს, არამედ იმას, რასაც მეტი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაზე, რაც უფრო კანონისა და სამართლის ზემოხსენებულ დანიშნულების აღსრულებას გამოიწვევს ცხოვრებაში.

დასასრულ, საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ თუ ეს აზრი ჭეშმარიტია საზოგადოდ ყველა გაზეთისათვის, მით უმეტეს ჭეშმარიტებაა ჩვენის [illegible]თულის გაზეთისათვის, რომელსაც, როგორც [illegible]იხველი დაგვეთანხმება, ზოგიერთ, მაგალითად, [illegible]ლ გაზეთებთან შედარებით, ემატება მძიმე [illegible]რთი, არამც თუ კანონის ცხოვრებაში გავრცელებისა, არამედ ახსნა ხშირად და მისი ჩვენს განსაკუთრებულ გარემოებებთან შეფერება.

გ. გძელიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 აპრილი.

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრი ზენგერი მოსკოვში წავიდა.

ვლადივოსტოკი. დიდ-ძალი მუშა-ჩინელი მოაწყდა ქალაქს; ჩიფუს ახლო უკვე 30 ათასამდე მუშა იქნება; ყველანი იშოვიან სამუშაოს. ციმბირიდგან მოსულები ამბობენ, რომ დიდ-ძალი რუსის მუშა ხალხი მიისწრაფის შორეულ აღმოსავლეთად; როგორც ამბობენ, 40 ათასამდე მუშა მიდის, მაგრამ ჯერ მანჯურიის გზამდე არ მიუღწევიათო.

პარიჟი. დამატებით არჩევანების შედეგი. თუ წინად არჩეულთა რიცხვს ახლად არჩეულებს მიუმატებთ, პალატაში აღმოჩნდება: კონსერვატორი—50, ნაციონალისტი—50, სამინისტროს მოწინააღმდეგე რესპუბლიკელი—99, რესპუბლიკელი—111, რადიკალი—129, რადიკალ-სოციალისტები—90, სოციალისტი—43, გედისტი—4. სულ 587.

პარიჟი. მილიერანმა არჩევნებზედ დაამარცხა ნაციონალისტი პეშენი.

პარიჟი. ჰაეროსტატი „ჰაკსი“ თავისუფლად დაფრინავდა.; ჰაეროსტატზედ იყვნენ სევერი და მექანიკოსი. მენის ქუჩის თავზედ უეცრად ჰაეროსტატიდგან ალი ამოვარდა და აფეთქდა. ჰაეროსტატი მიწისაკენ დაეშო. როდესაც ხალხი მისცვივდა, ჰაეროსტატში მყოფნი მკვდრები დაჰხვდნენ.

პეკინი. პეჩილიის პროვინციიდგან იუწყებიან, რომ იანშიკაის ჯარის მოსვლისას აჯანყებულთა ბრბო გაიფანტაო. აჯანყებულთა სოფლები დაქცეულ იქმნა.

ლონდონი. კუნძულ სან-დომინგოს ადმინისტრატორნი იუწყებიან, რომ კუნძულ მარტინიკაზედ დაიღუპა 40,000 კაცი და 19 გემიო.

ნიუ-იორკი. სანტა-ლიუჩიდგან მიღებულ დეპეშით, კუნძულ წმ. ვიკენტის ნაწილი დაქცეულ იქმნა ნაცარ-ტუტისაგან. დაღუპულთა რიცხვი 260 იქმნება.

პრეტორია. კორესპონდენტი სააგენტოსი (?) იუწყება, რომ შტეინს თვალები სტკივა და მეტის-მეტად აქვს ნერვები მოშლილიო. ბურების დელეგატები პირველში თხოულობ[illegible] დამოუკიდებლობას, მაგრამ რაკი ეს [illegible]ოვნილება ინგლისმა არ შეიწყნარა, მო[illegible]ოვეს ამნისტია აფრიკანდერებისა; ინგლისის მთავრობა არ აბრკოლებდა საქმეს; ბურების დელეგატებს იმედი აქვთ, რომ მეა[illegible]ე აფრიკანდერებს მხოლოდ სამოქალაქო [illegible]ებას ჩამოართმევენო. უმთავრესი მუხლი, [illegible]ელიც ინგლისმა უარ-ჰყო, არის ვადის დაწყვეტა წარმომადგენლობის გამგეობის [illegible]მოსაღებად. ბჭობა და მოლაპარაკება შეწყვეტილია, რადგან ბურების დელეგატებმა გამოაცხადეს, რომ ჯეროვანი მონდობილობა არ მიგვიღიაო; ვადა მიეცათ 15 მაისამდე. ამ სახით, დარწმუნებით არ ითქმის, რომ ვითომ ბურების წინამძღოლნი თანხმანი არიან დაჰნებდნენ ინგლისელებსაო.

ვისბადენი. იმპერატორმა შესწირა 10,000 [illegible]კა მარტინიკზედ დაზარალებულთათვის.

პარიჟი. კრეისერის „სიუშეს“ კომანდირი იუწყება, რომ Saint Pierre-ი ნანგრევთა ცეცხლ-მოკიდებული გროვააო. ფრქვევა მთისა ჯერ კიდევ შესამჩნევიაო.

ნიუ-იორკი. წმ. ვიკენტის კუნძულზედ დაღუპულთა რიცხვი 500-მდეა.—Port-de France-ს შიში მოელის.

[illegible]იჟი. ინგლისის მეფემ გამოჰგზავნა 25 ათასი ფრანკი მარტინიკზედ დაღუპულთა სასარგებლოდ.—უარს ჰყოფენ პასკალ გრუსეს სიკვდილის ამბავს.—დამატებით იუწყებიან, რომ გედისტები ოთხნი-კი არა ექვსნი არიან არჩეულნიო.

30 აპრილი.

პეტერბურგი. ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს უფროსი დეისტ. სტ. სოვეტნიკი თავ. შახოვსკოი დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად.—მის უდიდებულესობის კაბინეტის საკამერალო განყოფილების გამგე სიპიაგინი დანიშნულ იქმნა ორდენების კაპიტულის საქმეთა მმართველად.—პოლტავის გუბერნატორი დეისტ. სტ. სოვეტნიკი ბელგრადტი დათხოვნილ იქმნა თვის თანამდებობიდგან და ჩაირიცხა შინაგან საქმნთა სამინისტროს სამსახურში.—გროდნის გუბერნატორი დეისტ. სტ. სოვეტნიკი თ. ურუსოვი დანიშნულ იქმნა პოლტავის გუბერნატორად. დაჯილდოვდა მე-2 ხარისხის ვლადიმერის ორდენი ხარკოვის გუბერნატორი თ. ივანე ობოლენსკი ფრიად ერთგულისა გულ-მოდგინე სამსახურისათვის და სამაგალითო გამგებლობისათვის უწესოებათა მოსპობის საქმეში ვოლკოვსკის მაზრაში, ხარკოვის გუბერნიაში დეისტ. სტ. სოვეტნიკები მაქსიმოვსკი და გერნეტი დანიშნულ იქმნენ იმ უმაღლესად დაარსებულ კომისიის წევრებად, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშავოს ღონისძიებანი ციმბირში დამნაშავეთა გამგზავნის მოსპობისათვის.—1 მაისს იქნება ბჭობა იმათი, ვინც მონაწილეობა მიიღო პარიჟის გამოფენაში. ბჭობაზედ უნდა განიხილონ ის საგანი, თუ რა გვარი ადრესი მივართვათ პრეზიდენტს ლუბესაო.—შესდგა ბჭობა სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა იმ საგნის შესახებ, რომ პატივი სცენ ფრანგ მეზღვაურთა და ჟურნალისტებს, რომლებსაც რუსეთში მოელიან. გადასწყდა, გამართულ იქმნას ბანკეტი.—სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოებაში შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს, რა ტიპის შენობანი უფრო სამჯობინაროა შენდებოდეს შემახის ქალაქში,—საერო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ზენგერმა სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის უნივერსიტეტში.

პლოცკი. ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის გადარჩენის გამო სამინისტროსაგან, რომელიც მოელოდა მას იაპონიაში, როდესაც ოტსუზედ გაიარა, 1892 წელს, მართლმადიდებელთ ტაძარში და სხვათა აღსარების საყდრებსა და სამლოცველოებში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისები.

კიევი. აპრილის 28 ჩაჰყარეს საძირკველი კიევის საპოლიტექნიკო ინსტიტუტის საცდელის ფერმის შენობათა იმ მამულში, რომელიც ინსტიტუტს ეკუთვნის და რომელიც ჩერნიგოვის გუბერნიაშია.

ხარკოვი. დაიწყო ეგზამენები, იურიდიულმა კომისიამ, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორის სერგეევიჩის თავმჯდომარეობით. 114-მა კაცმა ითხოვა ნება მოგვეცით ეგზამენი დავიჭიროთო.

ვისბადენი. მოვიდა პეტერბურგიდან ობერ-პროკურორი უწმინდესის სინოდისა კ. პ. პობედონოსცევი.

მოსკოვი. ცეცხლისაგან საურთიერთო დაზღვევის საქალაქო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა, რომ მოწოდებულ იქმნას პეტერბურგში კრება საურთიერთო დაზღვევის საქალაქო საზოგადოებათა მოღვაწეებისა.—განსვენებულმა რაზცვტოვმა უანდერძა მოსკოვის უნივერსიტეტს 40,000 მან. სტიპენდიებისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,67½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	94¾ წვ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	299½ გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	438½ წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	177 “
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლის

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იუწყება საყოველთაოდ საცნობლად, რომ სექტემბრის 1 ამა 1902 წლისას, ნაშუადღევის 1 საათზედ, მის თანადასწრებით იქნება ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნავთის საწარმოებლად ქალაქ ტფილისის კუთვნილ ოთხ სანავთო ნაჭერში ერთის ნაჭრისა, რომელიც იმყოფება „ნავთის ქალაში“ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირად, ქალაქიდგან 12 ვერსის მანძილზედ, ზომით ორი დესეტინა და 1044 ოთხ.-კუთ. საჟენი, იმ საზღვართა შორის, რომელნიც აღნიშნულია ქალაქის მიწის-მზომელის მიერ შედგენილს გეგმაზედ, რაიცა თვით პირობებსა აქვს ზედ-დართული.

ეგ ნავთიანი მიწის ნაჭერი იძლევა იჯარით ამოღებულის ნავთის საწილადოთ ქალაქ ტფილისისათვის და ამ წილის რაოდენობა იქმნება საგნად ცილობისა ვაჭრობაზედ. ვისაც დარჩება ამ ვაჭრობაზედ ნავთიანი ნაჭერი, ნება აქვს, რომელიც უნდა, ის ნაჭერი აირჩიოს ზემოხსენებულ ოთხ ნაჭერში. ვაჭრობის დაწყებამდე, თითოეულმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ბეთ ნაღდ ფულად ანუ %-ან ქაღალდებათ 2,000 მანეთი. ვაჭრობა მოხდება, როგორც სიტყვიერად, ისე დაბეჭდილ განცხადებათა შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაბეჭდილ კონვერტში უნდა იყოს: ა) ბეი 2,000 მან. ნაღდ ფულად ან სახელმწიფო ან საიპოტეკო (გირავნობის ფურცლები და ობლიგაციები) %-იან ქაღალდებად ზედ-წარწერილ ფასის ანგარიშით; ბ) სახელი, მამის სახელი და გვარი იჯარის აღების მსურველისა და მისი ადრესი; გ) სიტყვებით დაწერილი უნდა იყოს, რა წილს აძლევს ქალაქს ამოღებულის ნავთისას.

არავითარი გარეშე კომბინაციები, ზედდართული შემოძლეულ ფასზედ, კონდიციებში წინადვე საჭიროდ არ დანახული, მხედველობაში არ იქმნება მიღებული.

დაბეჭდილი პაკეტები უნდა წარედგინოს გამგეობას ნაშუადღევის 1 საათზედ, არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღესაც დანიშნულია ვაჭრობა. განცხადებას, ჩადებულს დაბეჭდილ კონვერტში, თუ ზემოხსენებული პირობანი არ იქმნება დაცული, სრულიად არ განიხილავს გამგეობა. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში, მის მე-4 განყოფილებაში, ყოველ დღე, როცა-კი სამსახურია, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც ჰსურს, შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს პირობანი.

(3—6.—2)

ქუთაისის მილის წყლისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობისაგან. გამგეობა ქუთაისის მილის წყლისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობისა, რაკი მოახლოვდა ვადა (1 მაისი ამ წლისა) საჯერო შემოსატანის ამხანაგობის I და II სერიის წინასწარ საპაიო ბარათებისათვის, ამით იუწყება საყოველთაო საცნობლად, რომ საჯერო შემოსატანი მიიღება:

ქუთაისში—ამხანაგობის კანტორაში და აგრეთვე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ხოლო

ტფილისში—სამეურნეო ბანკში.

ნამდვილი და წინასწარი (III სერიის) საპაიო ბარათები ამხანაგობისა შეიძლება შეიძინოს მსურველმა ქუთაისში—1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან, 3) მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის კასირის თ. ი. ა. მიქელაძისაგან და 4) შავის ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მდივნის ა. თ. ნანეიშვილისაგან; ტფილისში 1) სამეურნეო ბანკის გამგეობისაგან და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრთაგან: თ. რ. თ. ამირეჯიბისა, ა. ს. ბაბოვისა და თ. გრ. ნ. დიასამიძისაგან; ბათუმში—საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან; ფოთში—საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან და ჭიათურაში—შავის ქვის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობისაგან. (3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ საცნობლად, რომ ქალაქ ტფილისში ცხენთა იარმუკის დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია ბ-ნ მთავარ-მართებლის მიერ, ამ წლის 5 მაისიდგან იქნება ცხენთა იარმუკა. იარმუკა გასტანს მაისის 18-მდე. ადგილი ზემორე აღნიშნულ იარმუკისათვის დანიშნულია დიდუბეში კავკასიის ცხენთა მოშენების საზოგადოების იპპოდრომზედ, ანუ ყაბახზედ.

(3—6.—3)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 30
აბო ტფილელი, ე. გ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნონოსი	,, 20
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,, 15
ელენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	,, 3
ამბავი მადლის ქვისა	,, 5
ავადი საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. ქვაზავასი	,, 40
ბენია	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა.	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ.	,, 30
გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ.	,, 20
აღმზრდელი, აკაკისა	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
პატარა ლორდის თავგადასავალი	,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	,, 40
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.	,, 60
აერო დღესასწაული	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული	,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	,, 50
ისტორია ქართულ სტამბებისა	,, 15
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა	,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	,, 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა.	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა	,, 50
უკვდავთა დადებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	,, 40
ქეთო და სონა, საყმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 25
კოპერნიკიდან დარვინამდე	,, 10
კანდელი, მ. ლელაშვილისა	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა	,, 50
ევდოშვილისა	,, 50
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონჩოშვილისა	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 40

ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის მედალისა და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გამართა

სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურ ენაზედ

☞ კოხტად, სწრაფად და იაფად ☜

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852.

(25—309—13)